



ეთიკის კომისია გადაწყვეტილება-001/10

1. ფაქტები

2009 წლის 21 აგვისტოს გამთენიისას, ღამის საათებში, აჭარის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა ექვმიტანილების AA და BB ამოცნობის საპროცესო ღონისძიებანი. ექვმიტანილებმა AA-მ და BB-მ უარი განაცხადეს სახაზინო ადვოკატ ZZ-ის მომსახურებაზე. ადვოკატმა ZZ-მ ამოცნობის პროცესის დროს გაიგო, რომ AA და BB ჰყავდათ დაცვა შეთანხმებით, თუმცა ZZ-მა მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამომიებო მოქმედებაში. ამოცნობის პროცესისას ადგილი ჰქონდა სხვადასხვა კანონდარღვევას, რასაც ადვოკატ ZZ-ს მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. AA წარმოადგენდა არასრულწლოვან-ს, ხოლო BB წარმოადგენდა სრულწლოვან პირს.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა XX-მა და YY-მა ადვოკატ ZZ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ZZ-ს მიმართ პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

3. სამართლებრივი ანალიზი

წარმოადგენს თუ არა ZZ-ს საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობა დისციპლინურ გადაცდომას AA-ს შემთხვევაში? ეთიკის კომისიამ გამოიყენა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

მიუხედავად AA-ს უარისა სახაზინო ადვოკატ ZZ-ს მომსახურების მიღებაზე, ZZ-ს მიერ საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობა AA-ს სასარგებლოდ, არ წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას, ვინაიდან 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანი ექვმიტანილის მიმართ ხორციელდება იძულებითი დაცვა.

AA-ს შემთხვევაში ZZ-ს მიერ საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობა არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

წარმოადგენს თუ არა ZZ-ს საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობა დისციპლინურ გადაცდომას BB-ს შემთხვევაში?

ეთიკის კომისია დაეყრდნო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლებს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე და 76-ე მუხლებს.

ექვმიტანილმა BB-მ უარი განაცხადა სახაზინო ადვოკატ ZZ-ს მომსახურებაზე, თუმცა ZZ-მ მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამომიებო მოქმედებაში, რაც ადვოკატის მხრიდან წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად, ექვმიტანილს და ბრალდებულს უფლება აქვთ თავად შეარჩიონ დამცველი და უარი თქვან შერჩეულ დამცველზე. BB-ს მიმართ განხორციელებული იძულებითი დაცვით ZZ-მ ასევე დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები. კერძოდ, ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი



ადვოკატს ავალებს არ იმოქმედოს ისე, რომ ექვემდებარებოდნენ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც BB უნდობლობა გამოუცხადა ადვოკატ ZZ-ს, ამ უკანასკნელს აღარ ჰქონდა უფლება კვლავ ემოქმედა BB-ს ადვოკატის რანგში. ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი ადვოკატს ავალებს კლიენტის ინტერესებს მიაწოდოს პრიორიტეტი და დააყენოს ის პირად და სხვა ინტერესებზე მაღლა.

BB-ს უარის მიუხედავად ZZ-ს მიერ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

წარმოადგენს თუ არა, საგამოძიებო მოქმედებისას, პროკურორის კანონდარღვევებზე სახაზინო ადვოკატის უმოქმედობა ამ უკანასკნელის დისციპლინურ გადაცდომას? ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

პროკურორის მხრიდან გამოვლენილი დარღვევების შემთხვევებში, ადვოკატის მოვალეობა არის მისცეს თავის დასაცავ პირს ისეთი სამართლებრივი რჩევა, რომელიც გამომდინარეობს კანონისა და დასაცავი პირის ინტერესებიდან. ადვოკატის მოვალეობაა განუმტკიცოს დასაცავ პირს ფსიქოლოგიური რწმენა იმისა, რომ მისი უდანაშაულობა დადასტურებული იქნება. ადვოკატს მკაფიოდ და გარკვევით უნდა განემარტა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მისი უფლებების შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როგორი განმარტება ან მოსაზრება გამოხატა ბრალდების მხარემ. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის პოზიცია იყო მოკრძალებული და არაეფექტური, იგი გარკვეულწილად მოქცეული იყო პროკურორის გავლენის ქვეშ. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებებში სახეზეა არა იმდენად დისციპლინური გადაცდომა, რამდენადაც სახეზეა ადვოკატის მიერ მისი პროფესიული მოვალეობების სუსტი შესრულება. ამის მიზეზი კი, ერთი მხრივ, შესაძლოა იყოს ადვოკატ ZZ-ს არასაკმარისი პროფესიული მომზადება და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად. პროკურორის კანონდარღვევებზე სახაზინო ადვოკატის უმოქმედობა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

ადვოკატ ZZ-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.